

ლ. ჯობლაძე

**ბ. კუჭბინო და კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-
აღრეკინის ხანის ნამოსახლარები**

გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-აღრეკინის ხანის ნამოსახლარების შესწავლა. პირველი ძეგლები, სადაც წარმოებული იქნა არქეოლოგიური გათხრები, ეს იყო ნაოხვამუ, ანაკლია I, ოჩამჩირე და დაბლაგომი. პროფ. ბ. კუჭბინს, როგორც ცნობილია, მონაწილეობა არ მიუღია ნაოხვამუზე და ანაკლია I-ზე წარმოებულ სამუშაოებში. იგი მხოლოდ გაეცნო გათხრებს, დაათვალიერა ჭრილები და შეისწავლა ნივთიერი მასალა. ამის შემდეგ, გამოჩენილმა მეცნიერმა მონაწილეობა მიიღო მოკლევადიან და მცირემასშტაბიან გათხრებში დაბლაგომისა და ოჩამჩირის ნამოსახლარებზე. აღნიშნულ ძეგლთა სრული სტრატეგრაფიული დახასიათება, მოპოვებული მასალების მეცნიერული განზოგადოება და ანალიზი აისახა მის მიერ ორ ტომად გამოქვეყნებულ ფუნდამენტალურ ნაშრომში (7,8).

კოლხეთის დაბლობზე იმ პერიოდში ბრინჯაო-აღრეკინის ხანის ნამოსახლარების შესწავლის მხრივ, პირველი ნაბიჯები იდგმებოდა. არ არსებობდა არავითარი საყრდენი შესადარებელი მასალები და აბსოლუტური დათარიღების მეთოდები. ყოველივე ამის გამო, ძალზე ძნელი იყო ცალკეული ქრონოლოგიური ეტაპების და პერიოდების გამოყოფა. თუმცა მკვლევართა გარკვეული ნაწილის მიერ (ა. იესენი, მ. ივაშჩენკო, ე. კრუპნოვი, ლ. სოლოვიოვი, გ. ნიორაძე, ნ. ხოშტარია და სხვ.) დაზვერვებითა და მცირე მასშტაბის გათხრების ჩატარებით იყო გარკვეული ცდა კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-აღრეკინის ხანის ნამოსახლარების (ნაოხვამუ, ანაკლია I, დაბლაგომი, ოჩამჩირე, ყულევი) პირველი ზოგადი ქრონოლოგიის გადმოცემისა (6, გვ. 108-110; 4, გვ. 251-252; 1, გვ. 331-336; 2, გვ. 83, 80; 3, გვ. 6; 9, გვ. 324; 4, გვ. 108). უნდა ითქვას, რომ მათ მიერ ძირითადად სწორად იქნა განსაზღვრული მოხსენიებული ნამოსახლარების ქრონოლოგიური ჩარჩოები. თუმცა ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ძეგლთა რამდენადმე დაძველებასა და ძნელად დამაჯერებელ გაზვიადებულ თარიღებს. პროფ. ბ. კუჭბინმა ეს პრობლემური საკითხი დამაჯერებლად გადაჭრა. ხმელთაშუაზღვისპირეთის, მცირე, წინა აზიისა და სხვა

რეგიონების მასალებთან შედარებისას მოიძია გარკვეული პარალელები, შექმნა დათარიღების ერთგვარი მყარი საყრდენები, რომელსაც დაეყრდნო კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე ცალკეული ქრონოლოგიური ეტაპებისა და პერიოდების გამოყოფისას. აღსანიშნავია, რომ ის მეცნიერული დებულებები, რომლებიც მან ამ 50-60 წლის წინათ გამოთქვა, დღესაც კოლხეთის დაბლობზე არაერთი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარის შესწავლით დადასტურდა და კვლავ ძალაში რჩება.

ბ. კუჭინმა ნაოხვამუს ნამოსახლარზე სამი კულტურული ფენა გამოყო. ქვედა მიაკუთვნა შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს, ხოლო მომდევნო გვიანბრინჯაოს ეტაპს. იგი ზედა ფენის დათარიღებისას ერთმანეთის შესატყვისად ხშირად გამოთქვამს ტერმინებს. აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ყველაზე ადრეული ბერძნული კოლონიზაციის თანადროული, კოლხურ-ყობანური ხანა, გვიანბრინჯაოს ხანის დასასრული და ადრერკინის ხანა (8, გვ. 152, 188). მეცნიერი ნაოხვამუს ზედა ფენას თვლიდა დაბლაგომის წინარეანტიკური ხანის შუა ფენის სინქრონულად. ამ ძეგლის ქრონოლოგიის ძირითადად სწორად განსაზღვრა დადასტურდა ჭალადიდის ზურგას, ფიჩორის, თაგილონის წიფურისა, ნამჭედურისა და კოლხეთის დაბლობის სხვა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების სტრატეგრაფიული ჭრილებითა და ამ ძეგლებიდან მომდინარე ნივთიერი მასალებით. ამ მხრივ განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ უკანასკნელ პერიოდში შესწავლილი ყულევის მრავალფენიანი ნამოსახლარი, რომლის სტრატეგრაფიამ და ძირითადმა მონაპოვარმა მასალამ შეიძლება ითქვას მთლიანად გაიმეორა ნაოხვამუს ქრონოლოგიური ცხრილის მონაცემები. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ვფიქრობთ უკანასკნელი აღმოჩენების გათვალისწინებით ნაოხვამუს ქვედა ფენა უნდა განისაზღვროს არა შუაბრინჯაოს დასასრულით, არამედ ძველი კოლხური I ეტაპით (დაახლოებით ძვ.წ. XIV-XIII სს-ები). ნაოხვამუს, ყულევის, ზურგას ქვედა ფენასა და ფიჩორის ცენტრალური ბორცვის III ფენას ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ხანის ფენები (ფიჩორი IV ფენა, ერგეტა IV ფენა, ანაკლია - მესამე ფენა), რომლებიც შეიცავენ ორივე ეპოქის თიხის ნაწარმს (დაახლოებით ძვ.წ. XVI-XV სს.).

როგორც ცნობილია, ბ. კუფტინმა ანაკლია I-ის ნამოსახლარზე ოთხი კულტურული ფენა გამოყო. თუმცა ზოგჯერ იხსენიებს სამი ფენის არსებობას. იგი ზოგჯერ მერყეობს როგორც ცალკეული ფენების დათარიღებისას, ასევე ნივთიერი მასალის ამა თუ იმ ფენისადმი მიკუთვნებისას. ბუნებრივია, ბ. კუფტინის მერყეობა გამოწვეულ იყო იმით, რომ ეს ძეგლი არ გაუთხრია და მისი მონაცემები მთლიანად დამყარებული იყო მ. ჭანტურიას ინფორმაციაზე.¹ მკვლევარმა ქვედა ფენა მიაკუთვნა ადრელითონების ხანას (ადრებრინჯაოს პერიოდი). მომდევნო ორი ფენა განსაზღვრა შუაბრინჯაოს ხანით, ხოლო ზედა IV ფენა მისი აზრით თითქმის სცილდება შუაბრინჯაოს პერიოდს და გვიანბრინჯაოს ხანით უნდა დათარიღდეს.

აღსანიშნავია, რომ ანაკლია I-ის ბ. კუფტინისეული ქრონოლოგია ობიექტური მიზეზებით გამოწვეული ზოგიერთი ნაკლოვანების მიუხედავად, დღესაც ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს პერიოდების გამოყოფის დროს. მისი ზედა და ქვედა ქრონოლოგიური ჩარჩოების სწორად განსაზღვრა დასტურდება ფიზიკის ცენტრალური ბორცვის, ნაკარდალის, ერგეტას და სხვა ძეგლების მონაცემებით.

გამოჩენილ მეცნიერს ეკუთვნის ოჩამჩირისა და დაბლაგომის ნამოსახლარებზე ცალკეული კულტურული ფენების გამოყოფა და მათი დათარიღება. იგი ლ. სოლოვიოვთან ერთად ოჩამჩირის უძველეს ფენას ენეოლითის ხანას აკუთვნებდა (ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნა) და ჭილოფის ანაბექდიანი ძირებით უკავშირებდა დაბლაგომისა (ზემო ჰორიზონტი) და ანაკლია I-ის (II ფენა) ნამოსახლარებს. საყურადღებოა, რომ ბ. კუფტინი კოლხეთის დაბლობის ამ უძველესი ფენების დათარიღებისას იშველიებდა პარალელურ მასალებს (თიხის ჭურჭლის ძირებზე გამოყვანილი ჭილოფის ანაბექდები). პალესტინის, ტროა I-ის და თესალიის ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებიდან, მან დაბლაგომის ზედა ჰორიზონტზე მტკვარ-არაქსის ტიპის კერამიკასთან ერთად პირველმა შეამჩნია კოლხეთის დაბლობის

¹ ა. ჭანტურია იყო ზუგდიდის ისტორიულ-მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, რომელმაც 1935-1936 წწ. გათხარა ანაკლია I ნამოსახლარი.

უძველესი ნამოსახლარებისათვის (ოჩამჩირე, ანაკლია I) დამახასიათებელი თიხის ნაწარმი. ამით ერთგვარად კარგი წინაპირობა შეიქმნა გარკვეულ ეტაპზე კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანისა და მტკვარ-არაქსული კულტურების ურთიერთ სინქრონიზაციისათვის. ოჩამჩირისა და დაბლაგომის (ზედა ჰორიზონტი) ბ. კუფტინისეული თარიღები სადღეისო მონაცემების მიხედვით რამდენადმე დაძველებულია.

ბ. კუფტინმა, ლ. სოლოვიოვთან ერთად, პირველად გამოთქვა მოსაზრება ოჩამჩირის ნამოსახლარზე აღმოჩენილი შავპირილა კერამიკის შესახებ. მან კერამიკის ამ ჯგუფს მიანიჭა დამათარიღებელი მნიშვნელობა და დაუკავშირა სირიის, მცირე აზიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის ენეოლითური სტადიის ანალოგიურ თიხის ნაწარმს. ბ. კუფტინი კოლხეთის შავპირილა კერამიკას გეომეტრიული ორნამენტაციით განსაკუთრებით ამსგავსებდა სირიულ თიხის ნაწარმს. ამის პარალელურად გამოჩენილი მეცნიერი თვლიდა, რომ ოჩამჩირის ნამოსახლარის შავპირილა კერამიკა გარკვეულ პარალელებს პოულობდა ამიერკავკასიის ციკლოპური ნაგებობების (ბეშთაშენი) თიხის ჭურჭელთან. მართალია ეს პრობლემური საკითხი საბოლოოდ არ არის გადაჭრილი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ბ. კუფტინმა ამ მიმართულებით პირველმა გაკვალა გზა და მისი ეს მოსაზრებები დღესაცაა სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული (მხედველობაში გვაქვს კოლხეთის დაბლობის შავპირილა კერამიკის დაკავშირება აღმოსავლეთ საქართველოს თიხის ნაწარმთან).

ბ. კუფტინმა პირველმა გაამახვილა ყურადღება ნაოხვამუს გარკვეული ჯგუფის კერამიკის (რქისებურშვერილიანი ყურები, პარკეტული ორნამენტი და სხვ.) მსგავსებაზე მცირე აზიის დაბლობზე გავრცელებულ ტერა-ამარების (ტარანტო, ტოსკანელა), სარდინიის, დუნაის ბასენის, სიცილიის, ბოკეშიის და სხვა რეგიონების თიხის ნაწარმთან. ნაოხვამუს მასრიან ბრინჯაოს ისრისპირს მოუძებნა შორეული პარალელები (შვეიცარია, ლიკურიის მხარე, მდ. პოს დაბლობი – ტერა-ამარების კულტურა, პარმასთან ნაპოვნი ნივთი) და ბორცვებს შორის კონფიგურაციითა და ხის არქიტექტურით მსგავსებაზე.

გარე სამყაროს არქეოლოგიურ კულტურებთან კონტაქტებზე საუბრისას, ბ. კუფტინის მიერ გამოთქმულ ზოგიერთ ამ მოსაზრებას სპეცილისტები ხშირად იმოწმებენ. აღსანიშნავია

ისიც, რომ ამ საკითხებზე, კერძოდ კოლხეთის დაბლობის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალების კავშირთი-ერთობებზე ტროა VII და ტერა-ამარების კულტურის თიხის ნაწარმთან სპეციალური კვლევა-ძიება დღესაც მიმდინარეობს.

ბ. კუფტინმა კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე გამოვლენილი დიხა-გუძუბები დაუკავშირა ცალკეულ საოჯახო გვაროვნულ დასახლებებს. მისი ეს მოსაზრება ალბათ მისაღები უნდა იყოს.

ასეთია ის უზარმაზარი და ფასდაუდებელი ღვაწლი, რომელიც გამოჩენილ მეცნიერს, ბ. კუფტინს მიუძღვის კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების შესწავლის საქმეში.

ლიტერატურა

1. გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიქის მოამბე, X, თბ., 1941
2. ნ. ხოშტარია, სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, №1-2, თბ., 1946
3. È ààù áí èí Ì . - Àððáí èí àè ÷ áñèè à í ðèðì ðè ý á Àáðàçèè. Í È Ò¹ 5, Ì ., 1936
4. È áññáí Á.Á. - Ñóðìí ñèàý ýèñì áàèòèý ÁÁÈ Ì È, ÑÀ, III, Ì .-È., 1937
5. È áññáí Á.Á. - Ì ðí áèáí à èçó÷áí è ý àððáí èí àè ÷ áñèè ò í àì ýò è èí á Èí áòè àñèí é í èçì áí í í ñòè á òáè ýò òáðàè ðáðè ñòè èè ñí áðáí áí í ù ò í í ñèáè ááí è èí áù ò, ááí èí àè ÷ áñèè ò í ðí òáññí á. Áþ è è áðáí ù èí í èññè è í í èçó÷áí è þ ÷ áðááððè ÷ í í áí í áðè í àà. ¹ 6-7, Ì .-È.
6. Èðòí í í á Á.È. - Àððáí èí àè ÷ áñèàý ýèñì áàèòèý áí ñ. èñò. ì òçáý á Çàèáèèàçüá. ÑÝ, ¹ 3, Èáí èí áðáá., 1934
7. Èóó ðè í Á.Á. - Ì àðáðè àèù é àððáí èí àè è Èí èòè áù, ò I, Óá., 1949
8. Èóó ðè í Á.Á. - Ì àðáðè àèù é àððáí èí àè è Èí èòè áù, ò II, Óá., 1950
9. Ñí èí áùáá È.Í . - Àððáí èí àè ÷ áñèè à ðáñèí í èè áèèç á Í ÷ àí ÷ èðè á Ááðàçèè, ÑÀ, IV, Ì .-È., 1937

Л. Джибладзе

**А. Ёóó ðèí è í î ñäëáí è ý ýí î ðè áðí í çú -ðáí í áãí æäëáçà
Êî è õè äñëí è í è çì áí í î ñðè**

È çó-áí è à í î ñäëáí è è ý ýí î ðè áðí í çú -ðáí í áãí æäëáçà
Êî è õè äñëí è í è çì áí í î ñðè í à-è í áàðñý á 30ãã. XX ááèà,
ðñëí í èàì è Í áí óáàì ó, Àí àèèèè I, Í ÷-àí ÷-èðá è Äááëí áí ì è.
Í áðí í í ù è áèèèè á ááëí è çó-áí è ý è óéüóðð ýí î ðè áðí í çú -ðáí í áãí
æäëáçà, ï ðèí áäèáæè ð Á. Ёóó ðèí ó. Í à î ñí í áá áù ø áóéáçàí í ù ò
í î ñäëáí è è, ï ðí ó. Á. Ёóó ðèí ï áðáù ì ääè ñððáðè áðáð è-áñéóð
ðáðáèðáðè ñðèèó ï àì ýòí è èí á ýí î ðè áðí í çú -ðáí í áãí æäëáçà,
áù ááèèè í ðäáèüí ù á ñëí è, òðí í í èí æè-áñèèè ï áðèí áù è ð.ä.
Í í èí æáí è ý áù ðááí ðáí í ù á èì , äí ñè ò í î ð í ñðàð ðñý á ñèèá.

L. Djibladze

**B. Kuftin und die spätbronze- und früheisenzeitlichen
Siedlungen in der Kolchis-Niederung**

Die Erforschung der spätbronze- und früheisenzeitlichen Siedlungen in der Kolchis-Niederung begann in den 30er Jahren des 20. Jahrhunderts mit den Ausgrabungen in Naohvamu, Anaklija I, Oèamèire und Dablagomi. Unschätzbaren Beitrag zur Erforschung der spätbronze- und früheisenzeitlichen Kulturen lieferte B. Kuftin. Ausgehend von den oben genannten Siedlungen bildete B. Kuftin als erster eine stratigraphische Abfolge der spätbronze- und früheisenzeitlichen Denkmäler, arbeitete einzelne Schichten und chronologische Perioden heraus usw. Seine Forschungen sind auch heute noch gültig.